სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის
2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

1. ორგანიზაციული განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: უწყების რეორგანიზაციის შემდეგ, ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით მუშაობის შემდეგ, სააგენტოს სტრუქტურა, საშტატო განრიგი და დანერგილი მართვის სისტემა უპასუხებს ზოგადად საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მიდგომებს, ორგანიზაციის ახალ მიზნებს და უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტიანობას.

პერიოდი: 2014 წლის აპრილი-დეკემბერი

პროგრესი: 2014 წლის აპრილში, მოხდა სსსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეორგანიზაცია, მის საფუძველზე ჩამოყალიბდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და დამტკიცდა რეორგანიზებული სააგენტოს დებულება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის N 36 დადგენილებით.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 29 აგვისტოს N 5 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შინაგანაწესი.
სააგენტოში მიმდინარეობს კვალიფიციური კადრების აყვანა ღია კონკურსის გზით. რეორგანიზებული სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმდა 45 ადამიანი სექტემბრის მონაცემებით.

2. სასწავლო ცენტრის გახსნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების გარემოს გაჯანსაღების, ბიზნესის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე 4400-მდე შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვების კვალიფიციური სპეციალისტების გაზრდის უზრუნველსაყოფად სასწავლო ცენტრის გახსნა.

პერიოდი: 2014 წლის ოქტომბერი-დეკემბერი

პროგრესი/მიმდინარე:შემსყიდველიორგანიზაციებისშესაბამისითანამშრომლების (მ.შ. სატენდეროკომისიებისწევრებისდააპარატის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ამოქმედდა სასწავლო ცენტრი. სახელმწიფოშესყიდვების კურსის უნივერსალურობიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი განკუთვნილია მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში და სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია; ასევე, იმპირთათვის, რომლებიც, სამომავლოდ, გეგმავენ დასაქმდნენ შემსყიდველ ორგანიზაციაში, სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პოზიციებსა თუ თანამდებობებზე. 2014 წელს სასწავლო კურსი გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საქართველოს რეგიონების სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციის 92 თანამშრომელმა.

3.სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში, ევროკავშირის წევრი და სხვა მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმებასთან და მასთან მიერთებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება. ასევე მონიტორინგის განხორციელების და ელექტრონული სერვისების შემდგომი განვითარების კუთხით, სააგენტოს თანამშრომლებისათვის სასწავლო და გაცნობითი ხასიათის ვიზიტები, სემინარები, კონფერენციები.

პერიოდი: 2014 წლის იანვარი-დეკემბერი

პროგრესი/მიმდინარე: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტექნიკურ დახმარებას უწევს SIGMA. 2014 წლისსექტემბრიდან დაიწყო ტექნიკური დახმარების იმპლემენტაცია, კერძოდ პირველ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

მიმდინარე წლის ოქტომბერსა და დეკემბერში გაიმართა სამუშაო შეხვედრები: (1) საჯარო შესყიდვების შესახებ ევროკავშირის ახალი დირექტივების მიმოხილვა; (2) საქართველოს სახელმწიფო

შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს განხილვა, რომლის მიზანია მოხდეს იმ სფეროების იდენტიფიცირება, რაც საჭიროებს შემდეგ დახვეწას ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოვებისათვის; (3) ყოვლისმომცველისამოქმედოგეგმისმოსამზადებელისამუშაოშეხვედრადაძირითადიმიმართულებები სგანსაზღვრა.

2014 წლის ივნისში, ჟენევაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე - მსოფიო ვაჭრობის ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმების მიერთების საკითხები კანდიდატი სახელმწიფოებისთვის - მონაწილეობა მიიღო სააგენტოს მენეჯენტმა.

4. შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის ტრენინგების ჩატარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის, არსებული რეგულაციებისა და მიღებული პრაქტიკის,აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის ტრენინგები, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები.

პერიოდი: 2014 წლის აპრილი-დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში 2014 წელს სასწავლო კურსი გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საქართველოს რეგიონების სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციის 92 თანამშრომელმა.

2014 წლის მაის-ივნისსში გასვლითი შეხვედრები მოეწყო საქართველოს ხუთ რეგიონში შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის. სამუშაო შეხვედრების მიზანი იყო რეგიონებში შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, რეგიონების მიხედვით იდენტიფიცირებული ხშირად დაშვებული შეცდომების ანალიზი და პრაქტიკული და სამართლებრივი რეკომენდაციების გაწევა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

5. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული აქტივობების შედეგად სააგენტო და მისი მოღვაწეობა ცნობილი გახდება ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის, ბიზნეს-სექტორის და მედიის წარმომადგენლებისთვის, გაიზრდება სააგენტოს საქმიანობის მიმართ ნდობა და ინტერესი.

პერიოდი: 2014 წლის იანვარი-დეკემბერი

პროგრესი/მიმდინარე: 2014 წლის 19 სექტემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით და USAID EPI პროგრამის დახმარებით გაიმართა შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებდან და საქართველოში აკრედიტირებული საკონსულოებისა და საელჩოების სავაჭრო წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი მეწარმეების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეების მოტივირება აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფო შესყიდვებში, გამჭვირვალე და სამართლიანი სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2014 წლის 14 ნოემბერს შეხვედრა გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებს, სამშენებლო სექტორში მოქმედ კომპანიებს და შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის. სამუშაო შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინფორმაციის მიღება სახელმწიფო შესყიდვებში უშუალოდ მონაწილე ორივე მხარისაგან - როგორც შემსყიდველი, ისე მიმწოდებელი ორგანიზაციებისგან, აგრეთვე სამშენებლო სექტორში შესყიდვების პროცესისას პრობლემების იდენტიფიცირება და სააგენტოს სათანადო რეკომენდაციების გაცნობა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვების კვალიფიციურად ჩატარების, შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების ცოდნისა და კომპეტენციის გაღრმავების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა და USAID დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამის დახმარებით გამოსცა მეთოდოლოგიური მითითებები სახელმწიფო შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, კერძოდ: (i) შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპის წარმართვასთან, (ii) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, (iii) შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. ასევე გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, ხშირად დასმული შეკითხვების და პასუხების კრებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტი სააგენტოსა და სასწავლო ცენტრის თაობაზე.